მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 აპრილი პარასკევი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 94 (15004)

ვ. ი. ლენინი

ნახატი რსფსრ სახალხო მხატვრის პ. ვასილიევისა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა მებრძოლ პავანგარდს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ ბელადსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

კურსი — ლენინური, მიზანი — კომუნიზმი

ვ. ი. ლენინის დაბადების 101 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

„...რა მწვერვალებსაც უნდა მიაღწიოს კაცობრიობამ, მას ყოველთვის ეხსომება, რომ კომუნისტური ცივილიზაციის სათავეებთან დგას ლენინის — მოაზროვნისა და რევოლუციონერის ბუმბერაზული ფიგურა“, — თქვა ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბელადის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში.

წელს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით გაცისკოვნებულ ამაღელვებელ დღეებში. მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ახლა ცხოვრობს ამ ისტორიული ყრილობის წარუშლელი შთაბეჭდილებით. ყრილობის გადაწყვეტილებებმა, რომლებშიც გამოხატულია ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტის, ყველა შრომელის ნება, თვითეული საბჭოთა პატრიოტის უდიდესი სიამაყის გრძნობა გამოიწვიეს.

22 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 101 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად შეიკრიბნენ მოსკოვის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, დედაქალაქის საწარმოთა ნოვატორები, მოსკოვის ოლქის მშრომელები, საბჭოთა არმიისა და სამხედროსაზღვაო ფლოტის მეომრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები. საზეიმო სხდომას ესწრებიან უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კორესპონდენტები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ბ. ნ. პონომარევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ნ. პელშე, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, ი. ვ. კაბანოვი, კ. თ. კატუშევი, მ. ს. სოლომენცევი, რომლებსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან.

აქვე არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები და პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. გრიშინმა.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. თ. კატუშევმა.

სხდომა დასურულად ცხადდება. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი.

• •

ვ. ი. ლენინის დაბადების 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, ტაშკენტში, ალმა-ათაში, ბაკოში, ერევანში, ულიანოვსკსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკლები).

დიად მიღწევათა გზა

ვ. ი. ლენინის დაბადების 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა თბილისში

მგზნებარი მოაზროვნისა და კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღე რევოლუციური კალენდრის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი თარიღია. იგი სამუდამოდ დამკვიდრდა საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეგნებაში, მთელ ჩვენს ცხოვრებაში როგორც დიადი ინტერნაციონალური დღესასწაული, რომელიც მოასწავებს ილიჩის აზრთა, სიტყვათა და საქმეთა გამარჯვებასა და ყოვლისმძლე ძალას.

საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები წელს ვ. ი. ლენინის დაბადების 101 წლისთავს აღნიშნავენ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით გაცისკროვნებულ ღირსშესანიშნავ დღეებში. ყრილობამ მკაფიოდ დაადასტურა ლენინის მოძღვრების გამარჯვება, მისი დიადი ცოცხალმოფენი ძალა, ჩვენი პარტიის ლენინური კურსის სისწორე. მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ამ დღეებში საბჭოთა კომუნისტების ფორუმის წარუშლელი შთაბეჭდილებით, ფორუმისა, რომელმაც ჩაიარა თავიანთი დიდი მასწავლებლისა და ბელადის ანდერძისადმი კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთგულების ნიშნით. ლენინის უკვდავი იდეები ხორცშესხმულია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებაში, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობის განმტკიცებაში, ჩვენი ხალხის მიღწევებში, რომელიც წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა განხორციელებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებსაც. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში ისინი გულდაჯერებით მიდიან ლენინის გზით, თვალსაჩინოდ ცხადყოფენ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

ქართველ ხალხს, საქართველოს მშრომელებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. ისინი თავიანთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს ეგებებიან დიდი წარმატებებით და სიამაყით ავლებენ გონების თვალს სახელოვან გზას, რომელიც განვლეს საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

22 აპრილს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 101 წლისთავს.

საღამოს 6 საათია. დარბაზში არიან სამრეწველო საწარმოთა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სცენის სიღრმეში მოჩანს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდი პორტრეტი. ოქროსფრად ელავს ციფრები „1870-1971“.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან მ. გოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ო. ლოლაშვილი, ა. ჩურკინი, ნ. ცხაკაია, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, რ. მეტრეველი, თ. მოსაშვილი, ჯ. პატარაია, პარტიის უხუცესი წევრები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების ნოვატორები, გამოჩენილი მეცნიერები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

დარბაზში დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სიტყვა მოხსენებისათვის ვ. ი. ლენინის დაბადების 101 წლისთავის შესახებ ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს ა. ჩურკინს.

ამხ. ა. ჩურკინმა აღნიშნა, თუ რა ყოვლისმძლე ძალა აქვს ლენინურ იდეებს, რომლებიც სულ უფრო ეფფლებიან მსოფლიოს, გახდნენ მისი რევოლუციური გარდაქმნის იარაღი, აღაფრთოვანებენ კომუნიზმის მილიონობით მშენებელს თავდადებული შემოქმედებითი შრომისათვის. ლენინის მოძღვრება განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკას, მის მთავარ მიმართულებებს ჩვენი ქვეყნის განვითარების ყოველ ეტაპზე. ამ პოლიტიკის უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ჩვენი საშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცება და აყვავება.

ამ დღეებში საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც ემზადებიან თავიანთი დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის, ახალი შემოქმედებითი აღმავლობითა და შთაგონებით იბრძვიან პარტიის ბრძნული წინასწარდასახულობათა შესრულებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

საზეიმო სხდომას დასურულად აცხადებენ. ორკესტრი ასრულებს პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. (საქმესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში

ამხანაგ კ. თ. კატუშევის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე

ამხანაგებო!

უდიდეს გარდამქმნელ როლს ასრულებენ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის რევოლუციური აზრი და რევოლუციური საქმიანობა, რომლის დაბადების 101-ე წლისთავსაც დღეს აღვნიშნავთ. ლენინის სახელთან, ლენინიზმთან განუყრელად არის დაკავშირებული გიგანტური საზოგადოებრივი ძვრები, რომლებმაც ძირფესვიანად უცვალეს სოციალურ-პოლიტიკური სახე ჩვენს პლანეტას.

ყველა ჩვენგანს ცხოვლად ახსოვს შარშანდელი ლენინური ზეიმები, რომლებმაც ასე სრულად და ღრმად გამოავლინეს კომუნისტთა, ყველა მშრომელის გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობები ლენინისადმი — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ დაწყებული დიადი საქმის ვენიალური განმგრძობისადმი. ლენინის იუბილე გადაიქცა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიღწევებისა და გამარჯვებების საერთაშორისო დათვალიერებად, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის ძალების დათვალიერებად. ამან მთლიანად გამოავლინა კრახი იმპერიალიზმის, მისი სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტი დამქაშების ცდებისა და იმედებისა, რომ შეაჩერებდნენ ლენინიზმის გავრცელებას, შეასუსტებდნენ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას. მან ლახვარი ჩასცა ჩვენს კლასობრივ მოწინააღმდეგეებს.

ყოველ წელს ახალი გამარჯვებანი მოაქვს ლენინის საქმისათვის. ყოველ წელს სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალები იძენენ ახალ-ახალ მომხრეებს. წლითიწლობით ლენინიზმი სულ უფრო აძლიერებს თავის გავლენას მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე.

ლენინიზმის ახალი ზეიმი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. მისი გადაწყვეტილებანი და მთელი მისი მუშაობის მსვლელობა ერთ მთლიან სურათს გვაძლევენ, თუ როგორ იმარჯვებს ლენინის საქმე ჩვენს ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში. ისტორიულ მნიშვნელობას განსაზღვრავს უდიდესი წვლილი, რომელიც მას შეაქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში, მსოფლიო რევოლუციურ პროცესში. ყრილობის დასკვნები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა გამსჭვალული ლენინის იდეებითა და წინასწარდასახულობებით, სწორედ ეს არის ლენინიზმი მოქმედებაში, ლენინიზმი, რომელსაც წარმატებით ვიყენებთ განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში.

ამ დიდმნიშვნელოვანმა თეორიულმა და პოლიტიკურმა დოკუმენტმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებზე, ყველა საბჭოთა ადამიანზე, მსოფლიო საზოგადოებრიობაზე.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია პარტიის სტრატეგიული ხაზი და ჩამოყალიბებულია კონკრეტული ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

ყრილობამ გვიჩვენა, რომ ჩვენ კიდევ ერთი ნაბიჯი — თანაც დიდი ნაბიჯი გადავდგით ჩვენი საპროგრამო მიზნების მიღწევის გზაზე. წარმატებანი, რომლებზეც ლაპარაკი იყო ყრილობაზე, გაურკვევად როდი მოვიპოვეთ. მათ მიღმა არის საბჭოთა ხალხის — მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომა. მათ მიღმაა პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მიზანდასახული საქმიანობა.

საბჭოთა საზოგადოების მთელი ისტორია ადასტურებს ლენინის დასკვნას, რომ „მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, — თუ ის ნამდვილად არის რევოლუციური კლასის ავანგარდი, თუ ის ამ კლასის ყველა საუკეთესო წარმომადგენელს შეიცავს, თუ ის სავსებით შეგნებული და თავდადებული, მედგარი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით გახათლებული და გამობრძმედილი კომუნისტებისაგან შედგება, თუ ამ პარტიამ შეძლო განუყრელად დაკავშირებოდა თავისი კლასის მთელ ცხოვრებას, მისი მეშვეობით კი... მთელ მასას და სრული ნდობა შთაეგონებინა ამ კლასისა და ამ მასისათვის, — მხოლოდ ასეთ პარტიას შესწევს უნარი უხელმძღვანელოს პროლეტარიატს...“ (ტ. 31, გვ. 217-218).

ცხოვრების ღრმა ცოდნა, მეცნიერული მიდგომა სოციალური პროცესებისადმი, მომწიფებული პრობლემების დროულად დამუშავება, **ყოველდღიურ პრაქტიკასთან** თეორიული დასკვნების ორგანულად დაკავშირების უნარი — აი ის თვისებები, რომლებიც **ახასიათებს საბ**ჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინური ტიპის პარტიას, აღიარებულ პოლიტიკურ ბელადს, ფართო მასების ორგანიზატორსა და აღმზრდელს, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ლენინის კურსით — კომუნისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ

ამხანაგებო! ისტორიული განვითარების ყოველი ეტაპი რევოლუციონერებს უყენებს თავისებურ ამოცანებს, რომელთა ანალოგიურს ვერ შეხვდებით წარსულში. ეს მით უმეტეს სწორია, როცა საქმე ეხება უმაგალითო, სავსებით ახალ საზოგადოებრივ მოვლენას — კომუნისტურ მშენებლობას. მაგრამ ჩვენი პარტია ყოველთვის პოულობდა და პოულობს სწორ გადაწყვეტას, რადგან იგი განუხრელად ხელმძღვანელობს ყველაზე მოწინავე და ერთადერთი სწორი მოძღვრებით — ლენინიზმით. ეს არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი. ეს არის ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარი.

ვ. ი. ლენინის აზრით, პარტია „თავის ყრილობებზე უნდა **აჯამებდეს** საზოგადოებრივი განვითარების პერიოდებს, **იყენებდეს** მათ მიმართ კვლევის მარქსისტულ მეთოდებს...“ (ტ. 12, გვ. 245). XXIV ყრილობა გახდა თეორიისა და პოლიტიკისადმი ასეთი ნამდვილად ლენინური მიდგომის ნიმუში. მან ღრმა ანალიზი გაუკეთა გასული პერიოდის შედეგებს, გვიჩვენა მიღწევათა მასშტაბი და ზუსტად შეაფასა ამ ბოლო ხუთწლეულში ქვეყნის მიერ განვლილი გზა. მოგვცა მომავლისათვის აწონ-დაწონილი მეცნიერული დებულებანი.

პარტიის ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამის ცენტრშია საბჭოთა ადამიანების ყველაზე საჭირბოროტო, ყველაზე საარსებო ინტერესები. ამ პროგრამის შინაარსი, მისი პრინციპული მიმართულებანი დამაჯერებლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ XXIV ყრილობის დადგენილების შესრულების მიზნით თავის სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის სამაღლო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

მიღებულ გადაწყვეტილებაში სსრ კავშირის სამინისტროები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებულებას კისრულობენ, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე, შეიმუშაონ და ამა წლის 15 ივნისისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარადგინონ საქვეუწყებო საწარმოების, სამშენებლო, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების ხუთწლიანი გეგმების პროექტები. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დავალა განიხილოს ეს პროექტები და სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე შეადგინოს სსრ კავშირის სამაღლო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის პროექტი ხუთწლედის წლების, სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით და 1971 წლის 20 ივლისისათვის წარმოადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალა ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასას გაინიხილონ სკკპ XXIV ყრილობაზე, რესპუბლიკის პარტიულ ყრილობებსა და მმართველებისა და ოლქების, ქალაქებისა და რაიონების კონფერენციებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებსა და მშრომელთა კრებებზე შეტანილი წინადადებანი, აგრეთვე მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტებისა და მეცნიერების მიერ შეტანილი წინადადებანი და გაითვალისწინონ შესაბამისი ღონისძიებანი გეგმების პროექტებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მითითება მიეცათ ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებისას, სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე, გაითვალისწინონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებანი მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე პერსპექტიულ დარგებში კვლევის ყოველნაირად განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერული კვლევის შედეგებს უფრო ფართოდ დანერგვის გზით. უნდა დაისახოს აგრეთვე ღონისძიებანი პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუჯობესებისათვის, პროგრესულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ახალ სახეობათა ეკონომიური ნაწარმის წარმოების ათვისების გზით მისი სტრუქტურის გაუჯობესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დავალა განაახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის დონის ასამაღლებლად. ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ დაპროექტება უნდა წარმოებდეს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მაქსიმალური გათვალისწინების საფუძველზე. მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი საწარმოები მათი ამოქმედების დროისათვის ტექნიკურად მოწინავენი უნდა იყონ და უნდა ჰქონდეთ შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულებისა და ხარისხის მაღალი მაჩვენებლები. საპროექტო ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ უფრო რაციონალური საპროექტო გადაწყვეტილებათა გზით მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებას შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დავალების შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამშენებლო ორგანიზაციებში არსებული რეზერვების გამოყენებას შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებისათვის, კერძოდ, მშენებლობებზე შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მოცდენების შემცირების, პროგრესული სამშენებლო ტექნოლოგიის დანერგვისა და სამშენებლო მექანიზმების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზით.

ხუთწლიანი გეგმის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომიტეტების თავმჯდომარეები, მთელი რიგი მსხვილი სამეცნიერო საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. (საკლები).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში

(გაგრძელება)

წელს შესრულდა 50 წელი მას შემდეგ, რაც გაიმართა რკპ(ბ) X ყრილობა, ერთ-ერთი უკანასკნელი ყრილობა, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა ვ. ი. ლენინი. მაშინ მიიღეს ცნობილი ლენინური რეზოლუცია პარტიის ერთიანობის შესახებ. ლენინი კომუნისტებს მოუწოდებდა „ერთსულოვანი მუშაობისათვის, რომელიც ნამდვილად განასახიერებს პროლეტარიატის ავანგარდის ნების ერთიანობას...“ (ტ. 32, გვ. 295).

პარტიამ შეასრულა ლენინის მითითება. ეს ახალი ძალით გამოვლინდა XXIV ყრილობის დროს. დელეგატების გამოსვლებში, მთელ მის მუშაობაში ათასნი იმ შეხედულებათა და მისწრაფებათა ერთიანობა, რომლებიც განუყოფლად ბატონობენ პარტიასა და საზოგადოებაში. ეს იყო თანამოაზრეთა, საერთო მიზნებისათვის მტკიცე მებრძოლთა ყრილობა, რომლებსაც ასულდგმულებთ საერთო ფიქრი, რომ ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ კვლავაც დინამიკური და მტკიცე იყოს.

ყრილობის მონაწილეებს, ყველა კომუნისტს, მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვებმა, რომ „დღეს ჩვენს პარტიაში უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე სუფევს ერთიანობა და შეკავშირება, ნამდვილად ერთსულოვანი მუშაობის ის სულისკვეთება, რომლისთვისაც ასე დაბეჯითებით მოგვიწოდებდა ვ. ი. ლენინი და რომელიც ჩვენს პარტიას უფრო მძლავრსა და უძლეველს ხდის“.

ასეთი ატმოსფეროს შექმნას უმთავრესად ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობამ, რომლებიც მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობენ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებით, იცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის ხაზს, რომელიც დაადასტურეს და განავითარეს XXIII და XXIV ყრილობებმა.

ცენტრალური კომიტეტის მხედველობის არეში იყო და არის პარტიის მუშაობის ყველა მხარე, ყველა ასპექტი, ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად უთმობს ყურადღებას ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივის განვითარებას, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას, პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. პარტიისათვის დღეს დამახასიათებელია გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების კოლექტიური მეთოდი, ნდობა კადრებისადმი, პრინციპულობა და მომთხოვნელობა მათი საქმიანობის შეფასებაში. დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელსაც მტკიცედ იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და რომელიც უზრუნველყოფს პარტიის ორგანიზაციის ერთიანობას, შესაძლებლობას აძლევს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-პარტიული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში. სწორედ ეს არის პარტიული მუშაობის ის სტილი, რომელსაც ლენინი გვასწავლიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 14,5 მილიონ პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს აერთიანებს, მუდამ გრძნობს ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემას, იცის მშრომელთა მისწრაფებანი, მათი აზრი და საჭიროებანი, გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს. მასებთან კავშირი, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი, პარტიის ლენინური შტაბის — ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის კანონია, თვითეული მისი ორგანიზაციის საქმიანობის კანონი.

ლენინის მითითებისამებრ ჩვენი პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს — საბჭოთა წყობილების საფუძველს, აახლოებს ყველა კლასსა და სოციალურ ჯგუფს. ამასთან პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მუშათა კლასის წამყვანი როლის უზრუნველყოფას.

სოციალიზმის დიადი მონაპოვარია ჩვენი საამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ერთიანობა. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის არსი მარტო ის კი არ არის, რომ უზრუნველყოს ერთა პოლიტიკური თანასწორობა, არამედ ისიც, რომ მტკიცე მატერიალური საფუძველი შეუქმნას ხალხთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ყურადღებით გაითვალისწინოს ეროვნული თავისებურებანი. ასეთი პოლიტიკა სავსებით შეესაბამება ლენინს მოთხოვნას: ვიყოთ ინტერნაციონალისტები არა სიტყვით, არამედ საქმით. იგი საშუალებას აძლევს ყველა ერს — დიდსა თუ პატარას — მიაღწიოს განსაცვიფრებელ ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს, უზრუნველყოფს მათს თანდათანობითს დაახლოებას. სოციალისტური მშენებლობის დროს ჩვენში შეექმნა ადამიანთა ახალი ისტორიული გაერთიანება — საბჭოთა ხალხი.

კანონიერი სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საზოგადოება მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგება როგორც საზოგადოება, სადაც მჭიდროდ არიან შეკავშირებული მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა უმჭიდროესი ძმური თანამშრომლობის ნიმუშს, მშრომელებისა, რომლებიც ერთად წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ლენინური სტილის დამკვიდრება პარტიის ყველა რგოლის საქმიანობაში, მისი მონოლითური ერთიანობა, ყველა მშრომელის გაერთიანება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირება — ასეთია ჩვენში დამკვიდრებული საქმიანი, ამხანაგური ვითარების ძირითადი შემადგენელი ნაწილები, იმ ვითარებისა, რომელშიც, როგორც ხატოვნად თქვა ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, საბჭოთა ადამიანები „თავისუფლად სუნთქავენ, კარგად მუშაობენ, მშვიდად ცხოვრობენ“.

ამხანაგებო! ლენინის თეორიულ მემკვიდრეობაში, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომაში ჩაქსოვილია პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ამოსავალი იდეები. ლენინის გეგმიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს პრაქტიკაში დამკვიდრდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ისეთი ეფექტიანი საშუალებანი, როგორიც არის პერსპექტიული გეგმები, სამეურნეო ანგარიში, მორალური და მატერიალური სტიმულები, სოციალისტური შეჯიბრება. ლენინმა დაუსახა პარტიასა და სახელმწიფოს წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ამოცანა, მოუწოდა სოციალიზმის სამსახურში ჩაეყენებინათ უახლესი ტექნიკური აზრი. მან კლასიკურად განსაზღვრა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის შეჯიბრებაში. იგი იყო მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ფუძემდებელი პრინციპების ნამდვილი შემოქმედი.

სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვების შემდეგ ვ. ი. ლენინს პროლეტარიატის უმთავრეს და ყველაზე ძირეულ ინტერესად მიაჩნდა „პროდუქტების რაოდენობის გაზრდა, საზოგადოების მწარმოებელი ძალების უზარმაზარი გადიდება“ (ტ. 44, გვ. 345, რუს.). ლენინის აზრით, სწრაფი ეკონომიური აღმავლობა ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრის საშუალებაა. განუხრელად ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ყველა ჩვენგანი იცნობს, ამხანაგებო, განთქმულ გოელროს გეგმას, რომელიც ლენინს ქვეყნის ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძვლად მიაჩნდა. ეს გეგმა დაახლოებით 10 წელიწადში შესრულდა. ახლა კი საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად დგება მწყობრში ენერგეტიკული სიმძლავრენი, რომლებიც 7-ჯერ აღემატებიან იმას, რაც გოელროს გეგმით იყო დასახული.

ჩვენი ქვეყნის წარმოების თანამედროვე მასშტაბებზე მეტყველებენ ასეთი შთამბეჭდავი ფაქტები: საბჭოთა ხელისუფლების წლებში საერთო საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება 41-ჯერ გაიზარდა. მარტო ერთ, 1970 წელს გამოშვებულია დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომამდელი ხუთწლედის განმავლობაში ერთად. წარმოების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და იტალია ერთად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობას ახასიათებს არა მარტო წარმოების მოცულობის სწრაფი გადიდება, არამედ თვისებრივი სრულყოფაც. ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში უდიდესი მუშაობა განხორციელდა ეკონომიკის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებისათვის. ეს იყო გაბედული და დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პერიოდი, მეურნეობის გაძღოლის ისეთი ფორმების ძიებისა და დანერგვის პერიოდი, რომლებიც საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებებს შეესაბამება. პარტიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფისათვის, რათა ცენტრალიზებული დაგეგმვის ღირსებები ორგანულად იყოს შეხამებული წარმოების განვითარების ეკონომიური სტიმულების ეფექტიან გამოყენებასთან.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წარმატებებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან მიმართულებათა განვითარების დაჩქარებას. ფუნდამენტურ და გამოყენებითს გამოკვლევებში, წარმოების გარდამქმნელ, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებაში, მატერიის აგებულების უღრმეს საიდუმლოებათა შეცნობისა და კოსმოსის გამოკვლევის საქმეში ჩვენს ქვეყანას დღეს მოწინავე პოზიციები უჭირავს. ამის შესანიშნავი მაგალითია კოსმოსური პროგრამა, რომელიც გეგმაზომიერად ხორციელდება ჩვენში, პროგრამა, რომლის შესრულების გზაზე ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა ორბიტული სამეცნიერო სადგურის „სალუტის“ ამასწინანდელი გაშვება.

უკანასკნელ ხუთწლედში პროგრესული ძვრები მოხდა დარგობრივ სტრუქტურაში, გაძლიერდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი. ყოველივე ამან დადებითი გავლენა მოახდინა საბჭოთა ხალხის მიღწევებზე კომუნიზმის მშენებლობის გადამწყვეტ სფეროში — მატერიალურ წარმოებაში.

საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. ხუთწლედში შესამჩნევად გაიზარდა მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი, გადიდდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. გაიზარდა ერთსულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება, გადიდდა საცალო საქონლბრუნვის მოცულობა, გაუმჯობესდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება და მილიონობით ოჯახის საბინაო პირობები.

წარმატებები უეჭველია, მაგრამ პარტია ამავე დროს ნათლად ხედავს გადაუჭრელ პრობლემებს, ლენინური პირდაპირობით აღნიშნავს ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში და განსაზღვრავს მათი დაძლევის კონკრეტულ გზებს.

ახლა, როცა განვითარებული სოციალიზმის ისტორიულ ეტაპს მიაღწია, საბჭოთა ქვეყანას გაცილებით მეტი რესურსები მოეპოვება თავისი შემდგომი ზრდისათვის. და თუ ჩვენი შესაძლებლობანი წარსულში საშუალებას არ გვაძლევდნენ ეკონომიური დამოუკიდებლობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასთან ერთად უფრო სწრაფი ტემპებით გაგვეუმჯობესებინა ხალხის კეთილდღეობა, ახლა ასეთი შესაძლებლობანი შექმნილია.

ჩვენ შეგვიძლია უფრო საფუძვლიანად, ვიდრე ოდესმე, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნამდვილად დავიმორჩილოთ პროდუქტების საზოგადოებრივი წარმოება და განაწილება მეცნიერულ მოსაზრებათა შესაბამისად იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ყველა მშრომელის ცხოვრება უფრო ადვილი, ისეთი, რომელიც მათ მისცემს კეთილდღეობის შესაძლებლობას“ (ტ. 27, გვ. 500).

ხუთწლედის მთავარი ამოცანა, როგორც XXIV ყრილობამ განსაზღვრა, ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე.

კომუნისტური პარტიის კურსი — გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა—განსაზღვრავს არა მარტო მეცხრე ხუთწლედის მთავარ ამოცანას, არამედ აგრეთვე ქვეყნის განვითარების საერთო ორიენტაციას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ყრილობაზე, ამხ. ა. ნ. კოსიგინის მოხსენებაში ახალი ხუთწლედის დირექტივების შესახებ ჩამოყალიბებული და ვრცლად დახასიათებულია სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის განვითარების ძირითადი მიმართულებები და კონკრეტული ამოცანები.

საზოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებათა შესაბამისად მეცხრე ხუთწლედში უნდა უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი ტემპებითა და პროპორციულად განვითარება, გავაუმჯობესოთ საწარმოო ძალების განლაგება, განვაკითაროთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკა. პარტიის იმ ხაზის რეალიზაციას, რომ გააუმჯობესოს საბჭოთა ხალხის ცხოვრების პირობები, მტკიცე მატერიალური ბაზა ექმნება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის საფუძველთა საფუძველია მძიმე მრეწველობა. იგი ასრულებს და კვლავაც შეასრულებს წამყვან როლს თანამედროვე ტექნიკით ეკონომიკის ყველა დარგის აღჭურვაში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. წარმოების საშუალებათა მრეწველობის შემდგომი განვითარების გარეშე წარმოუდგენელია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის დაჩქარება. პარტია, როგორც ამას ლენინი გვასწავლის, ყოველ ღონეს იხმარს, რათა განუხრელად ძლიერდებოდეს საბჭოთა მძიმე ინდუსტრია.

ახალი ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მყარი და სწრაფი ეკონომიური აღმავლობა ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანების პრაქტიკულად გადაჭრის საშუალებაა. განუხრელად ასრულებს რა ლენინის ანდერძს, საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ყველა ჩვენგანი იცნობს, ამხანაგებო, განთქმულ გოელროს გეგმას, რომელიც ლენინს ქვეყნის ტექნიკური რეკონსტრუქციის საფუძვლად მიაჩნდა. ეს გეგმა დაახლოებით 10 წელიწადში შესრულდა. ახლა კი საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად დგება მწყობრში ენერგეტიკული სიმძლავრენი, რომლებიც 7-ჯერ აღემატებიან იმას, რაც გოელროს გეგმით იყო დასახული.

ჩვენი ქვეყნის წარმოების თანამედროვე მასშტაბებზე მეტყველებენ ასეთი შთამბეჭდავი ფაქტები: საბჭოთა ხელისუფლების წლებში საერთო საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება 41-ჯერ გაიზარდა. მარტო ერთ, 1970 წელს გამოშვებულია დაახლოებით ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომამდელი ხუთწლედის განმავლობაში ერთად. წარმოების მოცულობა ჩვენს ქვეყანაში ახლა უფრო მეტია, ვიდრე მრეწველობის თვალსაზრისით განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი, საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია და იტალია ერთად.

ასეთი ატმოსფეროს შექმნას უმთავრესად ხელი შეუწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს საქმიანობამ, რომლებიც მტკიცედ და განუხრელად ხელმძღვანელობენ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებით, იცავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის ხაზს, რომელიც დაადასტურეს და განავითარეს XXIII და XXIV ყრილობებმა.

ცენტრალური კომიტეტის მხედველობის არეში იყო და არის პარტიის მუშაობის ყველა მხარე, ყველა ასპექტი, ცენტრალური კომიტეტი ყოველდღიურად უთმობს ყურადღებას ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივის განვითარებას, მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას, პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. პარტიისათვის დღეს დამახასიათებელია გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების კოლექტიური მეთოდი, ნდობა კადრებისადმი, პრინციპულობა და მომთხოვნელობა მათი საქმიანობის შეფასებაში. დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელსაც მტკიცედ იცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და რომელიც უზრუნველყოფს პარტიის ორგანიზაციის ერთიანობას, შესაძლებლობას აძლევს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს თავიანთი წვლილი შეიტანონ საერთო-პარტიული პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში. სწორედ ეს არის პარტიული მუშაობის ის სტილი, რომელსაც ლენინი გვასწავლიდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც 14,5 მილიონ პარტიის წევრსა და წევრობის კანდიდატს აერთიანებს, მუდამ გრძნობს ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემას, იცის მშრომელთა მისწრაფებანი, მათი აზრი და საჭიროებანი, გამოხატავს მთელი ხალხის ინტერესებს. მასებთან კავშირი, რომელსაც ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი, პარტიის ლენინური შტაბის — ცენტრალური კომიტეტის მოღვაწეობის კანონია, თვითეული მისი ორგანიზაციის საქმიანობის კანონი.

ლენინის მითითებისამებრ ჩვენი პარტია განუწყვეტლივ განამტკიცებს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირს — საბჭოთა წყობილების საფუძველს, აახლოებს ყველა კლასსა და სოციალურ ჯგუფს. ამასთან პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მუშათა კლასის წამყვანი როლის უზრუნველყოფას.

სოციალიზმის დიადი მონაპოვარია ჩვენი საამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ერთიანობა. პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის არსი მარტო ის კი არ არის, რომ უზრუნველყოს ერთა პოლიტიკური თანასწორობა, არამედ ისიც, რომ მტკიცე მატერიალური საფუძველი შეუქმნას ხალხთა ნამდვილ თანასწორუფლებიანობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ყურადღებით გაითვალისწინოს ეროვნული თავისებურებანი. ასეთი პოლიტიკა სავსებით შეესაბამება ლენინს მოთხოვნას: ვიყოთ ინტერნაციონალისტები არა სიტყვით, არამედ საქმით. იგი საშუალებას აძლევს ყველა ერს — დიდსა თუ პატარას — მიაღწიოს განსაცვიფრებელ ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს, უზრუნველყოფს მათს თანდათანობითს დაახლოებას. სოციალისტური მშენებლობის დროს ჩვენში შეექმნა ადამიანთა ახალი ისტორიული გაერთიანება — საბჭოთა ხალხი.

კანონიერი სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საზოგადოება მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოსდგება როგორც საზოგადოება, სადაც მჭიდროდ არიან შეკავშირებული მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა უმჭიდროესი ძმური თანამშრომლობის ნიმუშს, მშრომელებისა, რომლებიც ერთად წყვეტენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

ლენინური სტილის დამკვიდრება პარტიის ყველა რგოლის საქმიანობაში, მისი მონოლითური ერთიანობა, ყველა მშრომელის გაერთიანება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო, ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირება — ასეთია ჩვენში დამკვიდრებული საქმიანი, ამხანაგური ვითარების ძირითადი შემადგენელი ნაწილები, იმ ვითარებისა, რომელშიც, როგორც ხატოვნად თქვა ყრილობაზე ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა, საბჭოთა ადამიანები „თავისუფლად სუნთქავენ, კარგად მუშაობენ, მშვიდად ცხოვრობენ“.

ამხანაგებო! ლენინის თეორიულ მემკვიდრეობაში, უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომაში ჩაქსოვილია პარტიის ეკონომიური პოლიტიკის ამოსავალი იდეები. ლენინის გეგმიას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს პრაქტიკაში დამკვიდრდა სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ისეთი ეფექტიანი საშუალებანი, როგორიც არის პერსპექტიული გეგმები, სამეურნეო ანგარიში, მორალური და მატერიალური სტიმულები, სოციალისტური შეჯიბრება. ლენინმა დაუსახა პარტიასა და სახელმწიფოს წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ამოცანა, მოუწოდა სოციალიზმის სამსახურში ჩაეყენებინათ უახლესი ტექნიკური აზრი. მან კლასიკურად განსაზღვრა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელობა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის შეჯიბრებაში. იგი იყო მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის ფუძემდებელი პრინციპების ნამდვილი შემოქმედი.

სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვების შემდეგ ვ. ი. ლენინს პროლეტარიატის უმთავრეს და ყველაზე ძირეულ ინტერესად მიაჩნდა „პროდუქტების რაოდენობის გაზრდა, საზოგადოების მწარმოებელი ძალების უზარმაზარი გადიდება“ (ტ. 44, გვ. 345, რუს.). ლენინის

ინტერნაციონალიზმის დროშით

ამხანაგებო! 1918 წელს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენი ძალები დღითიდღე უნდა იზრდებოდეს, და ეს განუწყვეტელი ზრდა წინანდებურად წარმოადგენს ჩვენთვის იმის მთავარ და სრულ გარანტიას, რომ საერთაშორისო სოციალიზმი გაიმარჯვებს!“ (ტ. 28, გვ. 138-139). ისტორია ადასტურებს, რაოდენ სწორი იყო ლენინის სიტყვები. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების განუხრელი ზრდა, მუშათა მოძრაობის აღმავლობა კაპიტალის ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფართო გაქანება მოწმობენ, რომ სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის პროცესს ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

ხანგრძლივმა და არცთუ ისე იოლმა გამოცდილებამ რევოლუციურ მოძრაობას ჩაუნერგა მტკიცე რწმენა: მუშათა კლასის მიზნები განხორციელდება მხოლოდ ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის თანმიმდევრული გამოყენების ბაზაზე, იმპერიალიზმისადმი დაპირისპირებული მთელი ძალების მჭიდრო ინტერნაციონალური ერთიერთმოქმედებით. აი რატომ იბრძვის ჩვენი პარტია ასე მტკიცედ ანტიიმპერიალისტური ფრონტის და მისი ავანგარდის — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის. თანამედროვეობის ყველა რევოლუციური რაზმის შეკავშირების ტენდენცია განუწყვეტლივ ძლიერდება. ეს სავსებით გარკვეულად ცხადყო კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის საერთაშორისო თათბირმა. ეს კვლავ დიდი ძალით გვიჩვენა სკკპ XXIV ყრილობამ, რომელიც გადაიქცა რევოლუციური ძალების ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს საერთაშორისო ფორუმად.

როგორც ცნობილია, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საზღვარგარეთის 102 დელეგაცია. სოციალიზმის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები, ჩვენი კლასობრივი ძმები კაპიტალისტური სახელმწიფოებიდან, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები აღტაცებითა და მადლიერებით ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანმიმდევრულ ინტერნაციონალიზმზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებისადმი ჩვენი პარტიის ლენინურ მიდგომაზე. XXIV ყრილობა თანამედროვეობის რევოლუციური ძალების მზარდი ერთიანობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის დიდი დემონსტრაციაა.

მოძმე პარტიებისა და ეროვნულ-დემოკრატიული ძალების წარმომადგენელთა გამოსვლებში ჩვენს ყრილობაზე გარკვევით გამოვლინდა თანამედროვე მომენტის მეტად დიდმნიშვნელოვანი ნიშანი: რევოლუციური მოძრაობა, მისი კომუნისტური ავანგარდი უარყოფენ ერევიზიონისტთა ცდებს—მებრძოლური კლასობრივი შინაარსი გამოაცალონ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლას, და გადაჭრით გმობენ წვრილბურჟუაზიული ფსევდორევოლუციური იდეებით მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შეცვლის ხაზს. ყველა ნამდვილი რევოლუციონერისათვის მოქმედების სახელმძღვანელო, რევოლუციის დიადი სკოლა, ხალხის ინტერესებისათვის სამსახურის სკოლა იყო და არის ლენინიზმი.

და, რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ჩვენს დროში რევოლუციური მოძრაობის მთელი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლენინური იდეების ხორცშესხმას სოციალისტური და კომუნისტური შენებლობის პრაქტიკაში. ვ. ი. ლენინი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ახალი წყობილება, ბოლოს მოუღებდა რა ყოველგვარი ფორმის ექსპლოატაციასა და ჩაგვრას,

(დასასრული მე-3 გვერდზე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა — ლენინიზმი მოქმედებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

გახდებოდა მტკიცე დასაყრდენი და აღმაფრთოვანებელი მაგალითი მსოფლიო პროლეტარიატისათვის, კოლონიებისა და ნახევრადკოლონიების ხალხებისათვის, რომლებიც განთავისუფლებისათვის იბრძვიან. დღეს ახდა ეს ლენინური წინასწარმეტყველება. სოციალისტურ სისტემას აქვს მძლავრი ეკონომიური და პოლიტიკური პოტენციალი, საიმედო საშუალებანი იმპერიალისტური ავანტიურების აღსაკვეთად და მზარდ გავლენას ახდენს საერთაშორისო მოვლენების მსვლელობაზე. მას ეკუთვნის ისტორიული ინიციატივა.

სოციალისტურ სახელმწიფოთა მაგალითი საერთაშორისო მუშათა მოძრაობას უნერგავს რევოლუციურ ოპტიმიზმს, განამტკიცებს რწმენას, რომ დღევანდელი მწვავე ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლა კლასობრივ მოწინააღმდეგესთან, რაგინდ რთული, მოულოდნელი მიმართულებაც უნდა მიიღოს მან, დამთავრდება შრომის გამარჯვებით და კაპიტალის დამარცხებით.

სოციალიზმს, როგორც ლენინი წინასწარმეტყველებდა, სულ უფრო მჭიდროდ უკავშირებს თავის ბეღს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. განა საგულისხმო არ არის, რომ აზიის, აფრიკის, ახლა კი ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნები ირჩევენ სოციალისტურ ორიენტაციას, აგდგებიან არაკაპიტალისტური განვითარების გზას? განა საგულისხმო არ არის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, წყვეტს რა კოლონიური წარსულის შედეგების ლიკვიდაციის ძირეულ პრობლემებს, სულ უფრო ფართოდ მიმართავს სოციალისტურ სახელმწიფოთა გამოცდილებას, ამყარებს მათთან მრავალმხრივ კავშირურთიერთობას, სულ უფრო ღრმად ესმის მსოფლიო სოციალიზმთან თავისი კავშირის მნიშვნელობა? ყოველივე ეს მოწმობს ბურჟუაზიული კონცეფციების ღრმა კრიზისს, გვიჩვენებს, რომ განთავისუფლებულ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გვერდი აუქციონ კაპიტალიზმის გზას. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლაში ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნები სულ უფრო მტკიცედ დგებიან სოციალისტური სამყაროს მხარეზე.

ახლა დაუსჯელად ვეღარ ჩაიკლის იმპერიალიზმის აგრესიული ძალების ცდები ჩაახშონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამა თუ იმ ქვეყანაში. ისინი აწყდებიან ხალხების, სოციალისტური სახელმწიფოების გაბედულ წინააღმდეგობას. ამის მაგალითია ინდოჩინეთი, სადაც საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ფართო და ყოველმხრივი მხარდაჭერა ამრავლებს გმირი ვიეტნამელი ხალხის, კამბოჯისა და ლაოსის პატრიოტთა ძალებს, ეხმარება მათ სულ უფრო ძლიერ დარტყმები მიაყენონ ამერიკელ ინტერვენტებს. ამის მაგალითია ახლო აღმოსავლეთი, სადაც ჩვენი ქვეყნის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკა ეხმარება არაბ ხალხებს გააძლიერონ ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი, განამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა, იბრძოლონ ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, მშვიდობის დამყარებისათვის.

ის, რომ თვითეულ ქვეყანას, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმიდათაწმიდა უფლებას იცავს, დღეს შეუძლია სოციალისტური თანამეგობრობის სოლიდარობისა და მხარდაჭერის ურყევი იმედი ჰქონდეს, ამხანაგებო, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ფაქტორია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური პრინციპის პრაქტიკული განხორციელებაა.

რა თქმა უნდა, დედამიწის ცალკეულ რაიონებში იმპერიალისტებსა და მის დამქაშებს შეუძლიათ გადავიდნენ, კონტრრეიერიშებზე, მიიღწიონ დროებითს წარმატებებს. მაგრამ თანამედროვეობის ძირითადი რევოლუციური ძალების — სოციალისტური თანამეგობრობის, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულ უფრო მტკიცე ურთიერთმოქმედება საბოლოო ანგარიშით აიძულებს იმპერიალიზმს ზედიზედ დათმოს პოზიციები. მშვიდობის განმტკიცების ხელშემწყობი წანამძღვარები, ბევრი დიდი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრის პირობების თანდათანობით შექმნა რეალობაა. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეა სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს საერთაშორისო ცხოვრებაში. და ამ მხრივ მთავარი დამსახურება მიუძღვით სოციალისტურ ქვეყნებს, მათს აქტიურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლის პრინციპი, რომელიც ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ცნობილ დეკრეტში ზავის შესახებ, პრაქტიკული გამოხატულება და განვითარება ჰპოვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. მთელი ომის მოწინააღმდეგე ძალები, ყველანი, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა საქმიანი, კეთილმეზობლური თანამშრომლობის ინტერესები, დღეს მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ XXIV ყრილობის წინადადებებს, რომელთა მიზანია გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, უშიშროებისა და სოციალური პროგრესისათვის.

დამახასიათებელია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში წამოყენებულ ბევრ საგარეოპოლიტიკურ ინიციატივას მაშინვე გამოეხმაურნენ დადებითად სხვადასხვა სახელმწიფოები; ჩვენი პარტიის საგარეოპოლიტიკურ პლატფორმას კი ხალხებმა მშვიდობის პროგრამა უწოდეს.

ჩვენი პარტია მტკიცედ აცხადებს: ჩვენ იმათთან ვართ, ვინც იბრძვის მშვიდობის ინტერესებისათვის; ჩვენ იმათთან ვართ, ვინც იბრძვის აგრესიისა და ომის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ; ჩვენ იმათთან ვართ, ვინც იცავს თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის წმიდათა წმიდა უფლებას.

ამხანაგებო! სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის მეოთხედმა საუკუნემ გადაჭრით დაადასტურა, რომ სოციალიზმის ქვეყნების საერთაშორისო გავლენას გადამწყვეტად განსაზღვრავს არა მარტო თვითეული სოციალისტური ქვეყნის წარმატებანი, არამედ მათი ურთიერთმოქმედებაც, მათი ძმური ერთიანობის განმტკიცება.

ვ. ი. ლენინის თეორიული მემკვიდრეობა აღსავსეა ფრიად საგულისხმო აზრებით სოციალიზმის საერთაშორისო განვითარების საკითხებზე. ლენინმა ძირითადად დასახა გზა „მთელი მსოფლიოს მომავალი სოციალისტური ერთობისაკენ“ (ტ. 20, გვ. 39). იგი ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა სოციალიზმის გზაზე დამდგარი ქვეყნების მჭიდრო კავშირი და აღნიშნავდა, რომ ამას მოითხოვს არა მარტო მათი სოციალისტური მონაპოვრების შენარჩუნება და განმტკიცება, არამედ სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ობიექტური ტენდენციაც.

საბჭოთა კავშირს, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს საერთო მიზნები აქვთ და წყვეტენ ახლობელ, მსგავს ამოცანებს. ეს განამტკიცებს სოციალისტურ სახელმწიფოთა შემდგომი დაახლოების ტენდენციაა თვითეული ქვეყნის და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესებისათვის. ასეთი მუშაობა წარმოებს და, როგორც ვიცით, წარმატებითაც.

ახლა თვისებრივად ახალ დონეზე ადის სოციალიზმის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა. ამჟამად სოციალიზმის ქვეყნების პარტიათა და მთავრობათა ყურადღება მიპყრობილია იმისაკენ, რომ მოამზადონ და განახორციელონ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის პროგრამა, რომლის პრინციპული ორიენტირები დასახულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIII და XXIV სესიების გადაწყვეტილებებში.

საქონლის გაცვლას, საგაჭრო შეთანხმებებს ეზარდი მასშტაბებით დაემატება საწარმოო თანამშრომლობის უფრო მაღალი ფორმები. სამრეწველო დარგების განვითარების, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო სამუშაოების ერთობლივი დაგეგმვა, რომლებიც განსაზღვრავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს, ღონისძიებათა გაერთიანება ნედლეულის რესურსების ათვისებაში — ასეთია სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ფარგლებში ეკონომიური თანამშრომლობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი.

ეჭვი არ არის, რომ ინტეგრაციის გზაზე უახლოეს წლებშივე შევძლებთ მთელი რიგი დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტას, და ეს ყველა მოძმე ქვეყანას, მათ შორის საბჭოთა კავშირს, დაუზოგავს დიდძალ სახსრებს, დადებითს გავლენას მოახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გაიდიდებაზე.

ამ ბოლო პერიოდში გამდიდრდა პოლიტიკური და იდეოლოგიური თანამშრომლობა სოციალიზმის ქვეყნებს შორის. მნიშვნელოვნად განმტკიცდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს როგორც თავდაცვითი კავშირიც და როგორც პოლიტიკური კავშირიც. შეიქმნა საქმიანი ამხანაგური კონსულტაციების სისტემა, რომლის ფარგლებში ოპერატიულად ვთანხმებთ და კოლექტიურად ვწყვეტთ მომწიფებულ საკითხებს. წარმატებით მიმდინარეობს ღონისძიებათა კოორდინაცია ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური თეორიის რევიზიონისტულ და დოგმატურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ანტიკომუნიზმისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ მძაფრ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ბრძოლებში — ზოგჯერ კი ეს ბრძოლები იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის მტრული ძალების აშკარა გამოხდომების შესაბამი იყო ხოლმე — მოძმე სოციალისტურმა ქვეყნებმა გამანადგურებელი დარტყმები აგმეს თავიანთ მოწინააღმდეგეებს, დაიცვეს სოციალიზმის მონაპოვარნი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

გარკვეულად შეგვძლია ვთქვათ: სოციალისტური თანამეგობრობის განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს მკაფიოდ გამოხატული ტენდენცია — სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ისეთი გაღრმავება, როცა მას საფუძვლიანად შეგვძლია ვუწოდოთ ყოველმხრივი, ყოვლისმომცველი თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ასრულებს ლენინის ინტერნაციონალისტურ ანდერძს, იღვწის მოძმე ქვეყნების სულ უფრო მრავალმხრივი და ღრმა ურთიერთობისათვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დონეზე ერთმანეთის კონკრეტული გამოცდილების საფუძვლიანი შესწავლისათვის, ამ საქმეში მშრომელთა სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობისათვის. ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება სრულად გამოვლინდეს თვითეული მოძმე ქვეყნის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რათა მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს სოციალისტურ ხალხთა ერთსულოვანი თანასწორუფლებიანი ოჯახი, რათა დედამიწის ადამიანებისათვის ეს იყოს თავისუფალ ხალხთა მომავალი მსოფლიო თანამეგობრობის პირველსახე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიები წარმატებებთან და მიღწევებთან ერთად გონივრულად ითვალისწინებენ იმ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც წარმოიშობა ხოლმე ახალგაზრდა სოციალისტური სამყაროსა და კომუნისტური მოძრაობის განვითარების გზაზე. კომუნისტები რეალისტურად აფასებენ იმას, თუ რამდენად რთულია ბრძოლა ისეთ ძლიერ და საშიშ მოწინააღმდეგესთან, როგორიც არის იმპერიალიზმი. მაგრამ ყველამ კარგად გვიცით, რომ, თუ გავერთიანდით მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე, თუ განვამტკიცეთ ჩვენი რიგების ერთიანობა, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური ძალების ურთიერთმოქმედება, ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ ყველაზე პასუხსაგები ამოცანები, მოვიგერიოთ იმპერიალისტური ძალების ყოველი ცდა — შეაფერხონ რევოლუციური მოძრაობა, წარმატებით განვაგრძოთ შეტევა ლენინიზმის იდეების მსოფლიო გამარჯვებისათვის.

• • •

ამხანაგებო!

ამოუწურავია იდეური და პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელიც ლენინმა დაუტოვა მთელი მსოფლიოს კომუნისტებს.

როცა ვსწავლობთ ლენინის შრომებს, რევოლუციური ბრძოლის მის გამოცდილებას, ვეუფლებით საზოგადოებრივი პროცესების ანალიზისა და შემეცნების ლენინურ მეთოდს; ჩვენ მათში ვპოულობთ მოქმედების სახელმძღვანელოს, საზოგადოებრივი განვითარების საჭირბოროტო ამოცანათა გადაწყვეტის ფასდაუდებელ გაკვეთილს.

სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა, საერთაშორისო ცხოვრების ყველა უმნიშვნელოვანესი პროცესი, უაღრესად დამაჯერებლად ცხადყოფენ ლენინის იდეების დიად შემოქმედებითს ძალას. ლენინის ცოცხალი აზრი დღესაც გვეხმარება ვაშენოთ და გავიმარჯვოთ, მოგვიწოდებს ახალი დიდი საქმეებისათვის.

პროგრამა, რომელიც XXIV ყრილობამ შეიმუშავა, დღეს უკვე პრაქტიკულად ხორციელდება. ჩვენი საერთო ამოცანა ის არის, რომ კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე, პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ყოველ უბანზე ლენინურად საქმიანად, უნარიანად და პასუხისმგებლობით მოვაწყოთ მისი შესრულება, ხალხის მასების მთელი ენერგია, მათი შემოქმედებითი ინიციატივა წარვმართოთ დასახული მიზნების მიღწევისათვის.

შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მოიპოვებს შესანიშნავ წარმატებებს კომუნიზმის ისტორიულ გზაზე, ახალ დიდ წვლილს შეიტანს ლენინის იდეების განხორციელებაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ლენინის პარტიას, რომლის საქმეებში ცოცხლობს და იმარჯვებს მისი უკვდავი მოძღვრება!

გაუმარჯოს თანამედროვეობის რევოლუციური ძალების, მათი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური და მუშათა პარტიების მზარდ ერთიანობას!

გაუმარჯოს ლენინიზმს — ყველა ჩვენი გამარჯვების დროშას!

* * *

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. კ. ო. კატუშევის მოხსენება დიდი უურადღებით მოისმინეს. მოხსენების დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში).

საქართველოს დღეები მოსკოვში

მეგობრობის ზეიმი

მასპინძელთა აზრი

მოსკოვი. 21 აპრილი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ. ო. ლორთქიფანიძე). ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მთავრდება საქართველოს დღეები. ხვალ დილით საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია თბილისში გამოემგზავრება. სწრაფად გაირბინა ოთხმა დღემ. დღეებმა, რომლებიც აღსავსე იყო სითბოთი, სიყვარულით, მეგობრობით. დღეებმა, რომლებიც ყოველივის დარჩება როგორც მასპინძელთა — მოსკოველთა გულში, ასევე თბილისელთა — საქართველოს წარმომადგენელთა გულში.

რა დასამალია, ყველაფერი ქართული მოსკოვში პოპულარობით სარგებლობს. ქართულ კინოს, ქართულ მუსიკას, საესტრადო სიმღერებს, ცეკვებს, თეატრს მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი და მოყვარული ჰყავს. ისინი სპეციალურად ვადიან იმ საღამოებზე და კონცერტებზე, რომლებზეც უკრავენ ე. ვირსალაძე ან ლ. ისაკაძე, მღერიან ვ. ამირანაშვილი ან ზ. სოტკილავა... და რომ ეს ასეა, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა გუშინ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში და ღღეს კინოთეატრ „თბილისში“ მოსკოველ მაყურებელს ვთხოვეთ თავიანთი აზრი გამოეთქვათ.

ნ. პოლიაკოვი — სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომელი: მე საქართველოს ხშირი სტუმარი ვარ და ცუდად არ ვიცნობ ქართულ კულტურას. თუ სადმე მივლინებაში არა ვარ, არასოდეს ვაკლდები ქართულ კონცერტებს. დღევანდელი კონცერტიც ძალზე მომეწონა. განსაკუთრებით კი ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც ნ. რამიშვილი და ი. სუხიშვილი ხელმძღვანელობენ.

გ. მეშაკოვი — მოსკოვის № 5 სამშენებლო სამმართველოს მუშა: კონცერტის დაწყებამდე და ანტრაქტის დროს თავიდან ბოლომდე წავიკითხე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მიერ სპეციალურად ამ დღეებისათვის გამოცემული გაზეთი „სოვეტსკაია გრუზია“. უნდა გამოტყდე, რომ საქართველოს შესახებ ძალიან ბევრი რამ ახალი შევიტყე. ამ კარგი გაზეთისათვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ჟურნალისტებს.

ქ. ბოლჩანოვა — ფიზიკის მასწავლებელი: ძალიან კმაყოფილი ვარ სალამოთი, სიტყვებით, რომლებითაც ამ საღამოზე ერთმანეთს მიმართეს მასპინძლებმა და სტუმრებმა და, რასაკვირველია კონცერტი, რომელიც გემოვნებით იყო გაკეთებული. განსაკუთრებით მომეწონა ე. ვირსალაძე, ზ. სოტკილავა, მ. ამირანაშვილი, ლ. ისაკაძე.

ვ. ეუკოვა — პენსიონერი: მე საესტრადო სიმღერების ძველი თაყვანისმცემელი ვარ. კარგად მახსოვს ბრწყინვალე ქართველი მომღერლები ქ. ჯაფარიძე და თ. წერეთელი, რომელთათვის არაერთხელ მომისმენია. ახლა ნ. ბრეგვაძე მიყვარს, მიყვარს იმიტომ, რომ იგი, წარმოიდგინეთ, ამჟამად ყველაზე კარგად მღერის რუსულ რომანსებს. სამწუხაროდ, ამჯერად კონცერტზე მან არ იმღერა რუსული რომანსი, მაგრამ მისი ხმით მე მაინც დიდად კმაყოფილი დავრჩი. გადაეცით, თუ ეს შესაძლებელია, რომ მას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს მოსკოვში ძველი თაობის წარმომადგენელთა შორის.

ბულგარეთის კომპარტიის X ყრილობა

სოფია, 22 აპრილი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა განაგრძობს მუშაობას. დილის სხდომის თავმჯდომარემ — ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჰ. კუბადინსკიმ თქვა, თუ რა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ვ. ი. ლენინის იდეებს, რომლის დაბადების 101 წლისთავს აღნიშნავენ დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელები. იგი გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, პარტიისა, რომელსაც მაღლა უპირავს ლენინიზმის დროშა.

ყრილობაზე შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის სამეწარმოთმოქმედო სახალხო კავშირის მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გეორგი ტრაიკოვმა.

სოფია, 22 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო კამათში გამოსულმა სოციალისტური შრომის გმირმა, დიმიტროვგრადის (ხასკოვის ოლქი) „მარბასის“ შახტების გაერთიანების მექანიზებული ბრიგადის ხელმძღვანელმა ტ. გეკოვმა თქვა:

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის X ყრილობა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ისტორიაში. ეს ხასკოვის ოლქის დელეგატების, კომუნისტებისა და ყველა მშრომელის ერთსულოვანი აზრია. ორატორმა ილანიაკა ხასკოვიელ მეშახტეთა წარმატებებზე. ჩვენ, განაცხადა მან, ბულგარეთში პირველმა დავიწყეთ მუშაობა „ტულის“ მარკის საბჭოური ქვანახშირმომპოვებელი მექანიზებული კომპლექსებით. თავისი ამხანაგების სახელით ტ. გეკოვმა მეშახტეთა გულწრფელი მადლობა გადუხადა საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებსა და მანქანათმშენებლებს, რომლებმაც შექმნეს ეს შესანიშნავი ქვანახშირმომპოვებელი მანქანები.

ბულგარელი გლეხობის ფიქრები და მისწრაფებები გამოხატა თავის გამოსვლაში პლევნის ოლქის „ვიტის“ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის თავმჯდომარემ ვ. ჩატალსკიამ. ჩვენი ხალხის დიდ წარმატებებს, რომელთა შესახებაც ანგარიშს ვაძარებთ ყოველდღე, განაცხადა მან, ვერ მოვიპოვებდით, ჩვენთვის ძმური უანგარო დახმარება რომ არ გაწევია დიდ საბჭოთა კავშირს, რომ არ ყოფილიყო ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ულოთადი მეგობრობა.

თავიანთ გამოსვლებში დელეგატები საგსებით მხარს უჭერენ პარტიის სამნათო და საგარეო პოლიტიკას, იწონებენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პროგრამასა და მეექვსე ხუთწლიანის დირექტივების პროექტებს.

მეგობრობის, ერთიანობის, თანამშრომლობის იდეებით არის გამსჭვალული კომუნისტური და მეშათა პარტიების დელეგაციების მეთაურთა გამოსვლები.

ენგურჰესის მეორე ჩირაღდანი

ენგურჰესელი მშენებლები თანდათან აძლიერებენ შრომის ტემპს. სკკპ XXIV ყრილობის დამთავრების შემდეგ აქ ფართო ფრონტით დაიწყო ბრძოლა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. განსაკუთრებული გამოცცხლებაა № 1 ვარდნილჰესის მშენებლობაზე, რომელიც დამკვრელურ ობიექტად ითვლება. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 29 მარტს სკკპ XXIV ყრილობის გახსნამდე, აქ ამუშავდა და პირველი სამრეწველო ელექტროენერგია გამოიმუშავა № 2 ჰიდროტურბინამ. მას შემდეგ ენგურჰესის ამ პირმშომ სამშობლოს უკვე მისცა 2 მილიონზე მეტი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ამ დღეებში ენგურჰესელმა მშენებლებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. 18 აპრილს, გადაზე აღრე ელექტროდატვირთვის ქვეშ დაყენეს 73 ათასი კილოვატი სიმძლავრის № 3 ჰიდროტურბინა, რომელიც რიგით მეორეა № 1 ვარდნილჰესზე.

ახალი სიმძლავრის ამუშავებაში დამსახურება მიუძღვის ენგურჰესის მშენებლობის მთელ კოლექტივს, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ვარდნილჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი თ. ჩუბინიძე, შთამაგი ინჟინერი ო. ჭინჭარაული) მთელი კოლექტივი; ქების ღირსი არიან უბნები, რომლებსაც რ. ყვალაშვილი და ი. ფარულავა ხელმძღვანელობენ. ჰიდროტურბინის ჰიდროელექტროსამონტაჟო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულა „სპეცჰიდროელექტრომონტაჟის“ სამმართველის (უფროსი ე. ზაიცევი) კოლექტივმა.

ენგურჰესელებმა ეს გამარჯვება საპირველმაისო დღესასწაულსა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმს მიუძღვნეს.

ლ. ბარქაია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო არტისტის სერგო ალექსანდრეს-ძე ზაქარაიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ს. ა. ზაქარაიძის სახელი მიანიჭა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელს; თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაავალა ს. ა. ზაქარაიძის სახელი მიანიჭოს ქალაქის ერთერთ ქუჩას, აგრეთვე დაარქვა ს. ა. ზაქარაიძის საბელობის სტიპენდია თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ა. სტეფანოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბუღალტრო აღრიცხვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი ამხ. სტეფანე ირტემის-ძე **სტეფანოვი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1971 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ი. კავსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ამხ. ირაკლი იოსების-ძე **კავსაძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე.

თბილისი, 1971 წლის 21 აპრილი.

დაუვიწყარი შეხვედრები

საქართველოს მშრომელთა დელეგაციის ბამბუკვრცელა

მოსკოვი, 22 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ. ბ. შვარცმანი). ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ერთიანობის, დღესასწაული იყო საქართველოს სსრ და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს დღეები მოსკოვში, მოსკოველთა შეხვედრებმა ქართველი ხალხის წარმომადგენლებთან ერთხელ კიდევ ცხადყვეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინური იდეებზე აღზრდილი საბჭოთა ადამიანების ურღვევი მეგობრობა.

..22 აპრილი. ვნუკოვოს აეროდრომი. აქ შეიკრიბა დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი. საქართველოს მშრომელთა დელეგაციის გასაცილებლად, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**, მოგვიდნენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი **რ. დემენტიევი**, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბელნიჩენკო**, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე **ვ. კუხარსკი**, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მასლენი** და სხვები.

გამცილებელთა შორის არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შუდმივი წარმომადგენელი **ი. ართმელაძე**, მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები.

საქართველოს დელეგაციის წევრები მხურვალე მადლობას იხდიან გულთბილობისათვის, სიყვარულისა და სტუმართმოყვარეობისათვის. ისინი ამბობენ, რომ არ დავიწყებენ გულთბილ შეხვედრებს, მოსკოველთა ძმური კეთილგანწყობის გულწრფელ გამოვლინებას.

ერთმანეთის ხელს მაგრად ართმევენ, მეგობრებს უსურვებენ ბედნიერ გზას და თვითფრინველი ტრასს თბილისისაკენ იღებს.

შინ, სტუმართმოყვარე მოსკოვიდან

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში დიდი წარმატებით ჩაიარეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის დღეებმა, რომლებიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს. საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლები იყვნენ მოსკოვის სამრეწველო საწარმოებში, ეწვივნენ სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაეცნენ მოსკოველებს, მათს შრომასა და ცხოვრებას. მოუთხრეს მათ, თუ რა წარმატებებით ავლებენ ქართველი ხალხი თავის ეროვნულ დღესასწაულს, როგორ დაიწყო რესპუბლიკაში სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება, უჩვენეს თავიანთი ხელოვნება.

22 აპრილს მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა მოსკოვში საქართველოს დღეების მონაწილე საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაციის ნაწილი. თვითმფრინავიდან ჩამოდის დელეგაციის მეთაური — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე. მას გამოეთხოვა ეროვნული ანსამბლი „ერისთავი“ ...

მსოფლიო დღეს

მორიგი სხდომა

ვენა, 21 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაში გაიმართა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების მორიგი სხდომა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე.

ე. გერეკის გამოსვლა

ვარშავა, 21 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა გდანსკის პარტიული ორგანიზაციის სავოევოდო საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის დახურვის დროს, აღნიშნა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დამთავრებული საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ახალ ეთაერებაში, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-7 და მე-8 პლენუმების შემდეგ რომ შეიქმნა. ამ პლენუმებმა შეიფასეს დეკემბრის ამბები და მათი გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე დასახეს ძირითადი ამოცანები პროგრამასა, რომელიც ითვალისწინებს ხალხის საარსებო ინტერესებს. პროგრამისა, რომლის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის უფრო სწრაფ განვითარებასა და საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას.

ილაპარაკა რა სკკპ XXIV ყრილობის შესახებ, ე. გერეკმა თქვა, რომ ეს ყრილობა უდიდეს როლს შეასრულებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში. საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობა უწინარეს ყოვლისა გამოხატულია სსრ კავშირთან სოლიდარობით, ხაზგასმით აღნიშნა მან.

იდეების, მიზნების, ინტერესების ერთობა

ბუდაპეშტი, 21 აპრილი. (საკდესი). ბუდაპეშტის ერთ-ერთ უდიდეს მუშათა რაიონში — კებანიეში გუშინ გაიმართა საარჩევნო მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კადარმა. მან დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა ქვეყნის მდგომარეობას, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებას, შეეხო აქტუალურ საერთაშორისო საკითხებს.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა აღნიშნა, რომ საარჩევნო კრებებში მონაწილეობდა 2,5 მილიონამდე კაცი, ყველა დეპუტატობის კანდიდატი ხალხის კანდიდატია და მათი პროგრამა შეესაბამება პარტიისა და მუშათა კლასის პროგრამასა და პოლიტიკას. ი. კადარმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ასასიათებენ ქვეყნის განვითარებას ეკონომიკის, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე განმტკიცდა პარტიისა და ხალხთა მასების შეკავშირება.

ჩვენ, თქვა ი. კადარმა, მუდამ ვმუშაობთ ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობის, თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ჩვენი პარტია, როგორც საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რაზმი, დაუცხრომლად შრომობს ამ მოძრაობის ინტერესებისათვის. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია იღებს უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებისათვის, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური და სამხედრო გამაგრებისათვის, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში სოციალისტური ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და უნგრეთის სოციალისტურ მუშათა პარტიას, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, საბჭოთა ხალხსა და უნგრელ ხალხს აკავშირებთ იდეების, მიზნებისა და ინტერესების ერთობა. და ეს ყველაზე მთავარია, ხაზი გაუსვა ი. კადარმა. სკკპ XXIV ყრილობა, რომელიც ამას წინათ დამთავრდა, აღნიშნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. მან საბჭოთა ხალხს დაუსახა კომუნისტური მშენებლობის გაგრძელების გრანდიოზული, რეალური, საიმედო და შთამაგონებელი პროგრამა. მან ახალი იმპულსი მისცა სოციალისტური ქვეყნების განვითარებას.

სკკპ XXIV ყრილობა, განაგრძო შემდეგ ორატორმა, დიდი მნიშვნელობის მოვლენაა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაზრისითაც.

შეეხო რა ანტისაბჭოურობის გამოვლინებებს, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თქვა, რომ უკანასკნელ ხანს ანტისაბჭოური ხმები გაისმის არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრებისაგან, რომლებიც ბუნებრივია, მუდამ ლანძღავენ და თავს ესხმოდნენ საბჭოთა კავშირს, არამედ ჩინეთის ხელმძღვანელებისაგანაც, თანაც მეტად მწვავე ფორმით.

ჩვენთვის ეს საკითხი ფრიად მარტივია. მის გაგებაში გვეხმარება უნგრეთის ისტორიული გამოცდილებაც: ვისაც არ უყვარს საბჭოთა კავშირი, არ უყვარს არც სოციალიზმი, კომუნიზმის იდეები, და ვინც სოციალიზმის მომხრეა, უყვარს, პატივს სცემს საბჭოთა კავშირს და მუდამ მასთან ერთად იბრძვის!

ჩვენს პარტიას, აღნიშნა ი. კადარმა, ღრმა რწმენით შეუძლია განაცხადოს: ჩვენ სავსებით ვეთანხმებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. თუ ერთმანეთს შევადარეთ სკკპ XXIV ყრილობისა და უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის X ყრილობის უმნიშვნელოვანეს დებულებებს, ნათელი გახდება, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის გზა ერთია.

მდგომარეობა აღმოსავლეთ პაკისტანში

ქარაჩი, 21 აპრილი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტომ დაკიდან გადმოსცა ოფიციალური ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ მთავრობის ჯარებმა „განიმტკიცეს პოზიციები“ აღმოსავლეთ პაკისტანის აღმოსავლეთი და დასავლეთი სექტორების სასაზღვრო რაიონებში. სააგენტოს ცნობით, ამას წინ უფლდა არმიის ჭვეგანაყოფების ოპერაციები ბრაჰმანბარიასა და აქმაურის რაიონებში, რომლებიც პროვინციის აღმოსავლეთში მდებარეობენ და ჩუადანგისა და მეჰერპურის რაიონებში, პროვინციის დასავლეთში. სხვა ცნობაში ასოშიეიტედ პრეს ოფ პაკისტანის სააგენტო აღნიშნავს, რომ ვითარება აღმოსავლეთ პაკისტანში „თანდათან უმჯობესდება“.

„ეს არ უნდა გაანმეორდეს“

ამერიკის „შეერთებული შტატების სამხედრო უწყება — პენტაგონი თანდათანობით იგდებს ხელთ კონტროლს ამერიკის მთავრობის მთელი აპარატისადმი.

(გაზეთებიდან).



— დიახ, ეს გახლავთ თეთრი სახლი, სახელმწიფო დეპარტამენტი, სენატი და წარმომადგენლთა პალატა. რა ვნებავთ?

კარიკატურა გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტიდან“.

საკდესის ფოტოკრონიკა

ვაშინგტონი, 21 აპრილი. (საკდესი). ამერიკის დედაქალაქში გრძელდება ოფიციალ ჯარისკაცთა, ვიეტნამის ომის ვეტერანთა ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციები. სამხედრო ფორმიანმა ასობით ადამიანმა სამგლოვიარო დუმილით ჩაუარა თეთრი საფლავის ქვებს არლინგტონის სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვაშინგტონის დანაშაულებრივი პოლიტიკის მსხვერპლი ამერიკელები.

„ეს არ უნდა განმეორდეს“, „დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი“, — მოითხოვეს ვიეტნამის ომის ვეტერანებმა კონგრესმენებთან შეხვედრაზე. ვაშინგტონელები გახდნენ მაყურებელნი საშინელი სპექტაკლისა, რომელიც კონგრესის საფეხურებზე გათამაშდა. სამხედრო ფორმიანმა მსახიობებმა მათ უჩვენეს სამხრეთ ვიეტნამის მცხოვრებთა სისხლიანი ჯარგედიის ეპიზოდები.

ომის საწინააღმდეგო გამოსვლების ორგანიზატორებმა მიაღწიეს იმას, რომ ხელისუფლებმა ნება დართეს გაეშალათ ბანკი პარკში ამერიკის კონგრესის გახლობლად. წარწერები „ნიუ-იორკი“, „მიჩიგანი“, „ალასკა“, „ჯორჯიადო“, და სხვები, რომლებიც აღნიშნავენ შტატებს, საიდანაც ვაშინგტონში ჩამოვიდნენ ყოფილი ჯარისკაცები, ვიეტნამის ომის მონაწილენი მოწმობენ, თუ რაოდენ დიდი მასშტაბი მიიღო პროტესტებმა, რომლისაც გამოთქვამენ ინდოჩინეთში შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

გრანდიოზულ საპროტესტო მანიფესტაციათა მონაწილეებს შეუერთდა ზოგიერთი თვალსაჩინო ამერიკელი კანონმდებელი. 8 სენატორმა, მათ შორის ომის საწინააღმდეგო განწყობილებებით ცნობილმა სენატორებმა მ. ჰეტფილდმა და დ. მაკკოვერნმა, აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის 20-ზე მეტმა წევრმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ ვიეტნამის ომის ვეტერანებს.

ჩარევის პროგრამა

ვაშინგტონი, 22 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი „უცხოთის სახელმწიფოებისათვის დახმარების პროგრამის“ რეფორმის შესახებ, რომელიც სხვა ქვეყნების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის იარაღია. „რეფორმა“ ეხება „უცხოთისადმი დახმარების“ მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს, მაგრამ არ ცვლის მის იმპერიალისტურ არსს.

ეტნა ისევ აგიზგიჭრდა

რომი, 21. სიცილიის კუნძულის ვულკანი ეტნა რამდენიმე დღის სიმშვიდის შემდეგ კვლავ ამოქმედდა. წუხელ მის კრატერში რამდენიმე წამის ინტერვალით ხდებოდა აფეთქებები, რომლებსაც თან სდევდა ვულკანის ზემოთ 200 მეტრ სიმაღლეზე გავარვარებული ქვების ამოტყორცნა. ლავის ნაკადი, რომლის ტემპერატურა აღწევდა 1.000 გრადუს ცელსიუსით, დაეშვა ვულკანის ფერდობზე სამი კილომეტრის მანძილზე, გზაზე მოსპო სბაგირო გზის უბანი. ვულკანოლოგები ამტკიცებენ, რომ ეს ახალი ამოფრქვევა უშუალო საფრთხეს არ უქმნის ვულკანის გარშემო განლაგებულ სოფლებსა და ქალაქებს.

ეხილულ

● **კოლომბო, 21.** ოფიციალური მონაცემებით, ცეილონში დღისით გაუქმდა კომენდანტის საათი. ეს გადწყვეტილება მიღებულია იმასთან დაკავშირებით, რომ „ამბოხებულთა გამოსვლა შეხნელდა“. სამხედრო ქვეგანაყოფებმა პატრულირება გააძლიერეს სოფლად. შეწყვეტილი სატელეფონო კავშირი აღდგენილია. წესრიგდება საფოსტო კავშირი. ცეილონის არმიის სარდალმა გენერალ-მაიორმა ატიგალემ აქ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამბოხებულები ჯერ კიდევ არიან ქვეყნის ცხრა ცალკეულ რაიონში.

● **ნიუ-იორკი, 22.** კალიფორნიის სასამართლომ უარყო ანჯელა დევისის დაცვის მოთხოვნა აციელება მიეცათ მოსამართლე ლინდსეისათვის. დაცვის მოთხოვნა ემყარება იმას, რომ მოსამართლე ლინდსეის რასისტული შეხედულებანი აქვს და ამიტომ მიუკერძეველი ვერ იქნება.

ანჯელა დევისის ერთ-ერთმა ადვოკატმა მარგარეტ ბერნჰეიმმა განაცხადა სან-რაფაელში, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც იმედს ვერ იძლევა, რომ ანჯელა დევისს სამართლიანად მოექცევიან.

● **პანოი, 22.** სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა აპრილის პირველ 15 დღეში კუანგჩისა და თხიათხიენის პროვინციებში ბრძოლების დროს მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკა-საგონის ჯარების 987 ჯარისკაცი, ჩამოაგდეს და დააზიანეს 22 ვერტმფრენავი, მოსპეს 23 სამხედრო მანქანა, აქედან 10 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი, ააფეთქეს საბრძოლო მასალის ხუთი საწყობი, ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი.

● **კაირო, 22.** აქ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ანვარ სადათის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, სხდომის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო ლიბიაში ხელმოწერილი შეთანხმება არაბული რესპუბლიკების — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და ლიბიის — ფედერაციის შექმნის შესახებ.

ფაქტები

KRAJ RAD — 8 — 1971

MŁODOŚĆ STAREJ GRUZJI

პოლონელები ეცნობიან

ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო უცხოეთის პრესის ფურცლებზე

პრესის სააგენტოს ახალი ამბების საქართველოს განყოფილებამ მოამზადა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესის ორგანოებს გაუგზავნა მდიდარი და მრავალფეროვანი მასალები, რომლებშიც ასახულია საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის სახელოვანი ნახევარსაუკუნოვანი გზა, ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელობა.

ამ ცოტა ხნის წინათ „კომუნისტის“ ფურცლებზე განხილული იყო იუგოსლავიური ჟურნალის „ზემლია სოვიეტას“ მიმდინარე წლის მე-3 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია განყოფილების მიერ მომზადებული მასალები.

ამ დღეებში კი პოლონეთიდან მივიღეთ ჟურნალი „კრაკი რად“ (№ 8, 1971 წ.), რომელიც ვარშავაში გამოდის პოლონურ ენაზე. ეს არის ახალი ამბების საგენტოს გამოცემა, რომლის ტირაჟია 135.000 ეგზემპლარი.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიისადმი მიძღვნილ მასალებს, რომლებიც მომზადებულია ახალი ამბების საგენტოს საქართველოს განყოფილების მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გივი ჯაფარიძისა წერილში ასახულია საბჭოთა საქართველოს მიერ განვლილი გზა, ლაპარაკია იმ წარმატებებზე და გამარჯვებებზე, რაც ქართველმა ხალხმა მოიპოვა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შოთა ჭანუკვაძე პოლონელ მკითხველებს მოუთხრობს საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ, ქართველი მეღვინეების, მეჩაიეების, მეციტრუსეების სახელოვან საქმეებზე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე და მათ პერსპექტივებზე.

ცალკეული წერილები და ნარკვევები ეძღვნება ქალაქ ჭიათურას, ბათუმს — როგორც მნიშვნელოვან საპორტო ქალაქს, რესპუბლიკის კურორტებს — მშრომელთა დასვენებისა და ჯანმრთელობის სახელგანოქმულ კერებს. წერილში ქართულ პოეზიაზე ლაპარაკია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა შემოქმედებაზე. ჟურნალი ბეჭდავს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწის კლარა ცეტკინის წერილს ქართველი კომუნისტებისადმი (იგი დაწერილია 1925 წელს). აღსანიშნავია, რომ ეს წერილი ჟურნალში გადაბეჭდილია გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან.

ზემოთ აღნიშნული და ჟურნალში გამოქვეყნებული სხვა მასალები (ციფრები და ფაქტები, მრავალი ფოტოსურათი) პოლონელ მკითხველს კარგ წარმოდგენას მისცემს იმ წარმატებებზე ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, რასაც ქართველმა ხალხმა მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების ნახევარი საუკუნის მანძილზე რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობით.

• • •

სურათებზე: ჟურნალ „კრაკი რადის“ გარეკანი; მარჯვნივ — ჟურნალის გაშლილი გვერდები, რომლებზეც დაბეჭდილია მასალები საბჭოთა საქართველოს შესახებ.

ჩვენი ახალი ფოსტიდან

● **თბილისი.** ამას წინათ თბილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკაში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო თემაზე: „მტკიცედ დავიცვათ საბჭოთა კანონიერება“.

მუშა-მოსამსახურეთა კითხვებზე პასუხი გასცეს კიროვის რაიონის პროკურორმა გ. კერესელიძემ, სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ შ. გაბიტაშვილმა და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსმა ნ. კომახიძემ. მსგავსი კითხვა-პასუხის საღამოები მოეწყო აგრეთვე პირველ ტყავის ქარხანაში, მეხუთე ავტოსატრანსპორტო წარმოებაში, ქარხანა „ელექტროავტომატში“.

ჯ. რაჰველიშვილი.

● **ზუგდიდი.** ოდიშის საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმი ორგანიზაციის და სასოფლო კლუბის ინიციატივით მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე — „საბჭოთა საქართველო 50 წლისაა“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების, ელექტრიფიკაციის, სახალხო განათლების განვითარების და სხვა საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს ოდიშის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ჯღამაიამ, პედაგოგებმა გ. სვირავამ, ა. ბულიამ და ვ. ფირცხალავამ.

ჯ. აბსნაძე.

საჩხერის მშვენება

საჩხერე. (საკ. კორ.). ამაყად დასაცქერის საჩხერეს ისტორიული ციხესიმაგრე „მოდინახე“. მაში ნანგრევები ბევრის მომსწრე და მხილველია. ვახუშტი წერს: „...საჩხერის პირისპირ, ყვირილის ჩრდილოეთ არს მაღალს კლდესა ზედა, ციხე მოდმინახე, მოზღუდვილი კლდითა მაგარი და ტბა-ოლეული ძტრისაგან“.

„მოდინახეს“ ბრწყინვალე წარსული ერთხელ კიდევ ნათელყო არქეოლოგიურმა კვლევრებმა. ბევრი მნახველი ჰყავს ისტორიულ ციხე-სიმაგრეს. ექსკურსანტები შორეული მხარეებიდან მოდიან და კმაყოფილი ბრუნდებიან.

საჩხერელმა მშრომელებმა „მოდინახეს“ მიდამოები მწვანით შემოსეს. გავა დრო და აქ ტყე იშრიალებს. გათვალისწინებულია ქალაქის ცენტრიდან „მოდინახეზე“ გაიყვანონ საბაგირო გზა. მაშინ ეს მიდამო ადამიანთა დასვენების საუცხო ადგილი იქნება.

• • •

სურათზე: „მოდინახეს“ ხედი.

ფოტო ბ. ხუტოველისა.

სილაქაებზე — ყოველ სასლში

„მხატვრები — ხალხს“ — ასეთი დევიზით იმართება 1971 წლის სრულიად საკავშირო სამხატვრო ლატარია. ასეთი ლატარია ჩვენში მეოთხეჯერ იმართება და თავისი მასშტაბით აღემატება წინა ლატარიებს. ეს განაცხადეს პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 19 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. ი. პოპოვი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ვ. ა. ეფანოვი, რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი დ. კ. მოჩალსკი და სხვები.

მეოთხე ლატარიაში თამამდება სამ მილიონ მანეთზე მეტი თანხის 417 ათასი მოგება. ბედნიერი ბილეთების მფლობელები მიიღებენ საბჭოთა ფეიქწერის, გრაფიკის, ქანდაკების ნაწარმოებთა დედნებს, მათ შორის ცნობილი მხატვრების ა. პლასტოვის, ნ. რომადინის, ვ. სტოჟაროვის სურათებს. სხვა მოგებათა შორის არის საგზურები საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, სამხატვრო ცენტრების დასათვალიერებლად, ავეჯის კომპლექტები, ბროლისა და ფაიფურის სერვიზები, ხალიჩები და საიუველირო ნაკეთობანი, ალბომები და წიგნები ხელოვნების საკითხებზე.

ახლანდელი ლატარიის თავისებურება ის არის, რომ მისთვის შეიქმნა დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ათასობით ნაწარმოები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. აქ არის თურქმენული ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ქართული და სომეხ ოსტატთა ჭედურობანი, პალეხის, ხოხლომის, მსტერის, მინიატურები, პალტიისპირეთის ქარვის სამკაულები. პირველ ლატარიასთან შედარებით მოგებათა რიცხვი ოცჯერ გაიზარდა.

სრულიად საკავშირო სამხატვრო ლატარიის ტირაჟი ვიმართება მოსკოვში 1971 წლის 30 ნოემბერს. (საკდესის კორ.).

ფეხბურთის ამბები



მოსკოვსა და სოფიაში

28 აპრილს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე ამხანაგური შეხვედრა ექნება ბულგარეთის ოლიმპიურ გუნდთან. ამავე დღეს სოფიაში ერთმანეთს შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა კლუბების ნაკრები გუნდები.

ევროპის ჩემპიონატზე

ევროპის ფეხბურთელთა ჩემპიონატის ხუთი შესარჩევი მატჩი გაიმართა 21 აპრილს.

ბელფასტი. ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა, რომლებიც ჩვენი ნაკრების მომავალი მეტოქენი არიან მეოთხე შესარჩევ ჯგუფში, დიდი ანგარიშით დაამარცხეს კვიპროსის გუნდი — 5:0 (2:0). თავი გამოიჩინა ბესტმა, რომელმაც გაიტანა სამი გოლი. გუნდების მდგომარეობა ამ ჯგუფში ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ჩრდ. ირლანდია	3	2	0	1	8-3	4
2. ესპანეთი	1	1	0	0	3-0	2
3. სსრ კავშირი	1	1	0	0	3-1	2
4. კვიპროსი	3	0	0	3	1-11	0

კარდიფი. პირველ შესარჩევ ჯგუფში ლიდერობა ხელთ იგდეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფეხბურთელებმა, რომლებმაც თავიანთი მეორე მატჩი მოუგეს უელსის ნაკრებს — 3:1 (0:0). თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე სტუმრები აგებდნენ — 0:1 (გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში პენალტით გაიტანა დევინმა). შემდეგ სამი წუთის განმავლობაში (კალოვიჩმა, ტაბორსკიმ და ისევ კალოვიჩმა სამჯერ აიძულეს უელსელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში).

გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ჩეხოსლოვაკია	2	1	1	0	4-2	3
2. რუმინეთი	2	1	1	0	3-0	3
3. უელსი	2	0	1	1	1-3	1
4. ფინეთი	2	0	1	1	1-4	1

ლონდონი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ინგლისელმა ფეხბურთელებმა „უემბლის“ სტადიონზე 55 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მოუგეს საბერძნეთის ნაკრებს — 3:0 (1:0).

ლუცერნი. ნახევარ საათში შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელებმა შესარჩევ მატჩში მალტის გუნდს ხუთი ბურთი გაუტანეს.

მესამე ჯგუფში გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. შვეიცარია	3	3	0	0	8-1	6
2. ინგლისი	2	2	0	0	4-0	4
3. საბერძნეთი	3	0	1	2	1-5	1
4. მალტა	4	0	1	3	2-9	1

ლისაბონი. პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელებმა შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხეს შოტლანდიის გუნდი — 2:0 (1:0).

მეხუთე შესარჩევ ჯგუფში დამთავრდა პირველი წრე:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. ბელგია	3	3	0	0	8-0	6
2. პორტუგალია	3	2	0	1	3-3	4
3. შოტლანდია	3	1	0	2	1-5	2
4. დანია	3	0	0	3	0-4	0

სტარტი და მისი შედეგები

□

სამი საფეხურის შემდეგ

□

დიდი ფეხბურთის სტარტმა უკვე განვლო. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ სსრ კავშირის თასის მატჩები, რომლებითაც უმაღლესი ლიგის გუნდებმა სეზონი გახსნეს. თუ ამას მივუმატებთ ჩემპიონატის სამი ტურის შეხვედრებსაც, გამოდის რომ თვითეულ გუნდზე საშუალოდ 7 თამაში მოდის. ეს კი საკმაოდ საკმარისია სპორტულ ფორმაში შესასვლელად. სწორედ ამიტომ ახლა ფეხბურთელებს უფრო მეტი მოეთხოვებათ, ვიდრე გასულ სეზონებში.

„ოქროს მაძიებელთა“ თექვსმეტმა კოლექტივმა სამი საფეხური უკვე გადალახა, უკან დარჩა 25 მატჩი, გატანილია 53 ბურთი, თვითეულ თამაშზე ორ გოლზე მეტი მოდის. ძირითადი მსგავსება განვლილ ტურებში ის იყო, რომ თვითეულ მათგანში გატანილ იქნა 17-17 ბურთი (მხედველობაში არ არის მიღებული „ზარიასა“ და ცსკა-ს მატჩი). პირველ ტურში ყველაზე პოპულარული აღმოჩნდა ანგარიში 1:1, ასეთი 4 იყო, მეორე ტურში კი ჭარბობდა შედეგი 1:0. მათი რაოდენობა აქაც 4 აღმოჩნდა. რაც შეეხება მესამე ტურს, იგი ყველაზე მწარედ მოსაგონებლად დარჩებათ მეკარეებს. იმ 17 ბურთიდან, რომლებიც გატანილ იქნა 8 მატჩში, ორის ავტორი თვით მეკარეები — შმუცი (ცსკა) და შეედოვი („კაირატი“) იყვნენ. მათ თავიანთ კარში გაიტანეს ბურთები.

სამი ტურის შემდეგ ყველამ დაკარგა ქულა ზოგმა მეტად, ზოგმა ნაკლებად, დაუმარცხებლად მხოლოდ „ზარია“, კიევისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები და „ნეფტჩი“ იბრძვიან. ლიდერობს „ზარია“ — 4 თამაშიდან 6 ქულა. ხუთ-ხუთი ქულა აქვთ ექვსიდან კიევისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს. თბილისის „დინამოს“ 3 ქულით მეშვიდე ადგილი უჭირავს.

მეოთხე ტური ცსკა-სა და „ნეფტჩის“ დღევანდელი მატჩით დაიწყება.

□

საზღვარგარეთის სტადიონებზე

ვიგო. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეთ ევროპის პირველობის ორ შესარჩევ შეხვედრაში ესპანეთის გუნდმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხა პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრები 1:0 (0:0).

ციურიხი. ოლიმპიური ტურნირის საკვალიფიკაციო მატჩი ფეხბურთში შვეიცარიისა და დანიის გუნდებს შორის დამთავრდა დანიელთა გამარჯვებით 2:1 (1:0).

ნოვი-სადი. ამხანაგური მატჩი ფეხბურთში რუმინეთისა და იუგოსლავიის ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა რუმინელთა გამარჯვებით 1:0 (0:0).

ტელევიზია

23 აპრილი

პირველი პროგრამით

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის. „ისინი ჩემპიონები გახდნენ“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.40 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. „ცხოველთა სამყაროში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — მხატვრული ფილმი „დანაშაული და სასჯელი“ (მეორე სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — პროგრამა ბავშვებისათვის „ისინი შენი ბელნიერებისათვის იბრძოდნენ“ — ბორის ანელაძე, 18.45 — კონცერტი, 19.15 — გადაცემა „თბილისის ხვალინდელი დღე“, 19.55 — „მწერალი სტუდიაში“, 20.40 „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.05 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 21.30 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. სსკა — „ნეფტჩი“ (ბაკუ). მეორე ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. 1. მუსიკალური პროგრამა. 2. დოკუმენტური ფილმი „ახი დღე ოკეანეს იქით“, 23.15 — გადაცემა „მარკ დონსკოი“.

მეორე პროგრამით

19.00 — მოსწავლეთა დასახმარებლად — გაკვეთილი ფიზიკაში, 20.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 21.00 — დოკუმენტური ფილმი — „კაკაკსიელი ცადადან“.

24 აპრილი

პირველი პროგრამით

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 11.00 — სატელევიზიო ფილმი „მახე“, 11.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად ლექცია ქართულ ენაში, 12.15 — ლექცია ფიზიკაში, 13.00 — „ეთერშია ახალგაზრდობა“. ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გადაცემა — (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.45 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ“ წყალტუბოს რაიონი (გამეორებით), 14.50 — „ეთერშია ახალგაზრდობა“. გადაცემა მიძღვნილი საკავშირო კომკავშირის კრებისადმი — (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.35 — ციკლიდან — „დიადი ქრონიკა“ — 1966 წელი, 15.55 — უარავს ოქსანა იაბლონსკაია, 16.20 — მოსწავლეთათვის — „შენი თანატოლი“, 17.00 — ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კლუბი — „მეგობრობა“, 17.40 — ჩვენი სტუმრები, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „სპარტაკი“ (მოსკოვი) — სკა (როსტოვი) (ტრ